



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 33

2013წლის 18 თებერვალი  
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამორტიზირებული კანადური ვერხვის  
(ჭადრის) 5 (ხუთი) ცალი ხის მოჭრის შესახებ

სოფ. ვაყის მცხოვრებთა 11.02. 2013 წლის Nკოლ-861 კოლექტიური განცხადების  
და შესაბამისი დასკვნის მიხედვით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“  
საქართველოს ორგანული კანონის 16-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 43-ე მუხლის მე-3  
პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

1. სოფ. ვაყის ტაძრის მშენებლობის საჭიროებისათვის სამასალე მერქნით  
დახმარების უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილად ჩაითვალოს სოფ.  
გომის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული 5  
(ხუთი) ცალი ხის მოჭრის სამუშაოების ჩატარება უსაფრთხოების წესების  
სრული დაცვით;
2. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს საშეშე  
მერქნის ტრანსპორტირებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად  
საჭირო დოკუმენტაციის გაცემა;
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს სოფლის  
მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების კომისიას;
4. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ  
სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი:  
ხაშური, კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



დ. ლომიძე